



პირველი სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი

თარიღი: 26 აპრილი, 2013 წელი

დრო: 12:00 – 13:00 საათი

შეხვედრის ადგილი: ევროპის სახლი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. მანანა ქოჩლაძე - საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარე
2. ლაშა ტულუში - საქართველოს პრესის ასოციაცია (თანაკოორდინატორი)
3. ეკატერინე აღდგომელაშვილი - ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი
4. სალომე ბარათაშვილი - მდგრადი განვითარების საერთაშორისო ფონდი
5. ლევან ბოჭორიშვილი - საერთო სამოქალაქო მოძრაობა "მრავალეროვანი საქართველო"
6. ხათუნა სამნიძე - ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიურო
7. სალომე უგრეხელიძე - საზოგადოებრივი დამცველი
8. ზურაბ ფუტკარაძე - ჯანმრთელი სამყარო
9. გიორგი თევზაძე - ადამიანის უფლებათა დაცვისა და პატიმართა სოციალური უზრუნველყოფის საერთაშორისო ორგანიზაცია
10. მერი ლობჯანიძე - პედაგოგთან კავშირი "განათლება და სამყარო"
11. თეონა ტურაშვილი - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი
12. ალექო ცქიტიშვილი - ადამიანის უფლებათა ცენტრი
13. ზურაბ მაჭარაძე - ჟურნალისტური კვლევის ცენტრი
14. სალომე ბულია - ლიბერალური აკადემია თბილისი
15. ნათია კუპრაშვილი - საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაცია
16. თამარ გაბისონია - კონსტიტუციის 42-ე მუხლი

შეხვედრაზე ჯგუფის წევრებმა იმსჯელეს მოქალაქეებზე უკანონო თვალთვალის შედეგად მოპოვებული მასალების განადგურებისა და ამ თემაზე კონფერენციის ორგანიზების საკითხზე. პირველი ჯგუფის თანაკოორდინატორის თქმით, წინა ხელისუფლების დროს მოპოვებული მასალების უმეტესობა არის არალეგალური ხასიათის და მათი დიდი ნაწილი ჯერაც შინაგან საქმეთა სამინისტროში ინახება. როგორც თანაკოორდინატორმა აღნიშნა, ჩატარდა მცირე მოკლევა იმის დასადგენად, თუ როგორ მუშაობდა სისტემა, რამდენად მაშტაბური იყო ის და რატომის ინფორმაცია შეგროვდა თვალთვალის შედეგად. აღმოჩნდა, რომ არსებობს ტექნოლოგია, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ერთდროულად რამდენიმე ათეული ათასი ადამიანის საუბრის მოსმენა და ჩაწერა. ჩანაწერები შეიცავს ყველანაირ პერსონალურ ინფორმაციას, მათ შორის პირადი ცხოვრებისა თუ ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

დამსწრეებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ საჭიროა ამ საკითხზე აქტიური მსჯელობისა და განხილვების დაწყება. აუცილებელია შეიცვალოს კანონმდებლობა, გამკაცრდეს როგორც პოლიტიკა, ასევე სანქციები პირადი ინფორმაციის შემცველი მასალების გავრცელებასთან დაკავშირებით. სამომავლოდ უნდა დაგდეს სატელეკომუნიკაციო კომპანიების პასუხისმგებლობის საკითხიც.

ჯგუფის წევრები შეთანხმდნენ, რომ საჭიროა მასალების/მოსასმენი აპარატურის განადგურება და მომავალში მსგავსი პრევენციების თავიდან აცილების მიზნით, საპარლამენტო და სამოქალაქო კონტროლის ეფექტური მექანიზმების შემუშავება. აღინიშნა, რომ საჭიროა დაიწყოს გამოძიება იმ მასალებთან დაკავშირებით, რომლებიც დუბლირების შედეგად გატანილ იქნა ქვეყნიდან და მოხდეს მათი განადგურებაც.

თანაკოორდინატორის ინფორმაციით, საქართველოს ეროვნული პლატფორმის პირველ ჯგუფისა და მედიის წარმომადგენლების ინიციატივით მიმდინარე წლის 29 აპრილს იგეგმება კონფერენციის გამართვა უკანონო მოსმენებთან დაკავშირებით.

კონფერენციის მონაწილეებს ეროვნული პლატფორმის წევრი ორგანიზაციების გარდა, მიმართავენ საქართველოს პრემიერ მინისტრი, ბიძინა ივანიშვილი, პარლამენტის თავმჯდომარე, დავით უსუფაშვილი, შინაგან საქმეთა მინისტრი, ირაკლი ღარიბაშვილი, იუსტიციის მინისტრის მოადგილე, ალექსანდრე ბარამიძე, იურიდიულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე, ვახტანგ ხმალაძე და ასევე, სახალხო დამცველი, უჩა ნანუაშვილი. კონფერენციაზე მოწვეულნი არიან ხელისუფლების სხვა მაღალი თანამდებობის პირები, ჟურნალისტები, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები.

თანაკოორდინატორის თქმით, კონფერენციის მოსაწვევი და დღის წესრიგი ჯგუფში გავრცელდება ელექტონულად.

ერთსაათიანი განხილვის შემდეგ ჯგუფის შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: სალომე ბულია